

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №424

2021 წლის 25 აგვისტო

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ, 2010 წელი, მუხლი 538) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების 1¹² მუხლი ამოღებულ იქნეს.

2. დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ მე-2 გრაფა ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

პირი ვალდებულია, შეასრულოს ამ დადგენილების ამოქმედების მომენტისათვის მოქმედ პირადი საგადასახადო მრჩეველის მომსახურების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულება ამ დადგენილების ამოქმედებამდე არსებული ნორმების შესაბამისად.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

